მ. ვანიშვილი, ვ. დათაშვილი, გ. ნიქაბაძე

შრომის მწარმოებლურობა – სოციალური პოლიტიკის ეკონომიკური საფუძველი

გ ე გ მ ა:

- *სახელმწიფოს ძირითადი სოციალური გარანტიები და შრომის მწარმოებლურობის როლი მათს რეალიზაციაში;*
- *შრომის მწარმოებლურობა და დასაქმება;*
- *შრომის მწარმოებლურობის დინამიკის გავლენა საზოგადოების განვითარების სოციალურ და დემოგრაფიულ ტენდენციებზე;*
- *საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის;*
- *რეკომენდებული ლიტერატურა.*

მერაბ ვანიშვილი – სტუ-ს ასოც. პროფესორი
ვახტანგ დათაშვილი – სტუ-ს ასოც. პროფესორი
გაგა ნიქაბაძე – სტუ-ს დოქტორანტი

სახელმწიფოს ძირითადი სოციალური გარანტიები და შრომის მწარმოებლურობის როლი მათს რეალიზაციაში

საქართველოში, კონსტიტუციის თანახმად, დაცულია ადამიანთა შრომა და ჯანმრთელობა.[1]

დგინდება შრომის ანაზღაურების ოდენობის გარანტირებული მინიმუმი, უზრუნველყოფა ოჯახის, დედობის, მამობის და შვილობის, ინვალიდებისა და მოხუცებულთა სახელმწიფო მხარდაჭერა, ვითარდება სოციალური სამსახურების სისტემა, დგინდება სახელმწიფო პენსიები, დახმარებები და სოციალური დაცვის სხვა გარანტიები. ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის პოლიტიკის გატარების ვალდებულება გულისხმობს ასეთი ცხოვრების თუნდაც მინიმალური სტანდარტების ქონის აუცილებლობას. ეკონომიკური ურთიერთობების ასპექტში ეს, უპირველესად, არის მოხმარების სტანდარტები.[2] ამრიგად, აქ ლაპარაკია საზოგადოების თითოეული წევრისათვის კეთილდღეობის განსაზღვრული მინიმალური დონის უზრუნველყოფაზე, ანუ სიღარიბის როგორც ასეთის არ არსებობაზე.

ცნებას "სოციალური პოლიტიკა" შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე, არა ურთიერთგამომრიცხავი განმარტება. მეურნეობრიობის თვალსაზრისით, სოციალური პოლიტიკა – ეს არის ახლად შექმნილი შემოსავლის როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური კრიტერიუმებით განაწილების პოლიტიკა. ამდენად, სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის აუცილებელია ეკონომიკური ბაზა.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ძალით, სოციალური პოლიტიკის მასშტაბი და

[1] საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სამუშაო ადგილებზე მუშებისა და მოსამსახურეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპების დაცვას. კერძოდ, კონსტიტუციის 30-ე მუხლი უზრუნველყოფს შრომის თავისუფლებას და ითვალისწინებს, რომ შრომითი უფლებების, მათ შორის, ჯანმრთელი სამუშაო პირობების უფლების დაცვა, აგრეთვე მცირეწლოვნებისა და ქალებისათვის პრივილეგირებული სამუშაო პირობების შექმნა დადგენილი და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს კანონით.

შრომითი ურთიერთობების და შრომითი პროცესების ძირითად მარეგულირებელ წყაროს წარმოადგენს საქართველოს შრომის კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა 2006 წლის 25 მაისს და მოიცავს შრომითი ურთიერთობების ჩამოყალიბების და მისი შემდგომი გაგრძელების პროცესებს. ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

[2] ბაზრის, საბაზრო ურთიერთობების, როგორც ზოგადად ეკონომიკურ ურთიერთობათა სახესხვაობის პოზიციიდან, ეს შეიძლება იყოს ფულადი შემოსავლების და არა ინდივიდუალური მოხმარების სხვადასხვა დოვლათის მატერიალურ ფორმაში მიღების მინიმალური სტანდარტები.

ხარისხი სამომხმარებლო დოვლათის წარმოების ეკონომიკური შედეგიანობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

როგორც ცნობილია, ეკონომიკა – ეს არის მეცნიერება საზოგადოების მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის შეზღუდული რესურსების გამოყენების პრინციპების შესახებ. რამდენადაც საზოგადოების მატერიალური და სხვა მოთხოვნილებები პრაქტიკულად უსაზღვროა, მათი რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების ხარჯზე. ამრიგად, ***ეკონომიკა, უპირველეს ყოვლისა, არის მეცნიერება შრომის ეფექტიანობის, მწარმოებლურობის შესახებ.***

წარმოების ეფექტიანობა – ეს არის წარმოების პროცესის სასარგებლო შედეგებისა და *ფაქტორთა დანახარჯების თანაფარდობა.* ტერმინი "სასარგებლო შედეგი" ამ შემთხვევაში ასახავს იმ გარემოებას, რომ, ჯერ ერთი, შედეგი წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიმე საქონლის სახით, ანუ, საბაზრო გაცვლისათვის დამზადებული პროდუქტის სახით, და მეორე, რომ ეს საქონელი არა მხოლოდ წარმოებული იქნეს საქონელმწარმოებლის მიერ, არამედ – ბაზარზე რეალიზებულიც. წარმოების რესურსებში ანუ ფაქტორებში აქ იგულისხმება მათი კლასიკური გაგება – ესაა მიწა, კაპიტალი და შრომა.

ცნება "მიწა", აქ ნიშნავს არა მხოლოდ მიწის ზედაპირს, სასარგებლო წიაღისეულს, არამედ კონკრეტულ ტერიტორიაზე ბუნებრივი პირობების მთელ კომპლექსს, კლიმატური პირობების, ლანდშაპტის, სარწყავი წყლით უზრუნველყოფის და ა.შ. ჩათვლით. *ცნება "კაპიტალი"* გულისხმობს არა ფინანსურ, არა აქციონერულ, არამედ რეალურ, ფიზიკურ კაპიტალს – წარმოების საშუალებებს: შენობებს, ნაგებობებს, დანადგარებს, ნედლეულს, მასალებს და სხვა. *ცნება "შრომა"* გულისხმობს შრომით პროცესს, დასაქმებულის მიერ განსაზღვრული შრომითი მომსახურების გაწევას დამსაქმებლისათვის.

ეკონომიკური ეფექტიანობა დაკავშირებულია "დანახარჯი – გამოშვების" პრობლემასთან. თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში ***მწარმოებლურობის ქვეშ იგულისხმება თანაფარდობა საქონლის გამოშვებასა და ამ გამოშვებაზე დანახარჯს შორის.*** ამ თანაფარდობის ზრდა ნიშნავს შრომითი, ფინანსური, მატერიალური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური რესურსების უკეთ გამოყენებას, ე.ი. ეკონომიკის აღმავალ განვითარებას, შემცირება კი – ეკონომიკურ დაცემას.

საგულისხმოა, რომ ეფექტიანობის ერთიანი საკმარისად სანდო მაჩვენებელი, რომელიც ერთბაშად დაახასიათებდა წარმოების ყველა ფაქტორის გამოყენების მდგომარეობას, არ არსებობს. მაგრამ ყველაზე უფრო განზოგადებულად ეფექტიანობა გამოისახება პროდუქციის ან სამუშაოს ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირებაში, ე.ი. შრომის მწარმოებლურობის ზრდაში.

შრომის მწარმოებლურობა – ეს არის წარმოების სასარგებლო შედეგებისა და მათ მისაღწევად ცოცხალი შრომის დანახარჯების თანაფარდობა.

სიტყვათ შეთანხმება "ცოცხალი შრომა" აღნიშნავს, რომ შრომა განიხილება, როგორც პროცესი, როგორც კონკრეტული შრომითი მომსახურების რეალიზაცია უშუალოდ მოცემული საქონლის წარმოების პროცესში, მაშინ როცა ტერმინი "განივთებული" ანუ "წარსული" შრომა გულისხმობს თავის შედეგებში – იგივე წარმოების საშუალებებში, მოხმარების საგნებში, მომსახურებაში – უკვე განივთებულ შრომას.

წარმოების ყოველი ახალი ორგანიზაციული ფორმა, ახალი ეკონომიკური ურთიერთობები ყალიბდებიან და მტკიცდებიან იმ შემთხვევაში, თუკი იძლევიან შრომის მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს.

შრომის უფრო მაღალი მწარმოებლურობა ახასიათებს ეკონომიკური მართვის უფრო მაღალ ფორმას. შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებელი საუკეთესოდ ასახავს მმართველობითი მეთოდიკის პროგრესულობის ხარისხს.

შრომის მწარმოებლურობის დინამიკა ასახავს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას, განაპირობებს მის მდგომარეობას პერსპექტივაში.

შრომის მწარმოებლურობის შეფასებისა და ანალიზის დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, თუ რა მეთოდით ხორციელდება მისი დონისა თუ დინამიკის გაზომვა თითოეული კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად. *მაკროეკონომიკური დონისათვის ერთერთ შესაძლო ვარიანტს წარმოადგენს დამატებული ღირებულების ან, მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით გაზომვა.* ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში ასახული შრომის მწარმოებლურობის მონაცემები სწორედ ამ ხერხითაა გაანგარიშებული.

კერძოდ, **1-ელ ცხრილში** ასახულია წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და შრომის მწარმოებლურობის დინამიკა საქართველოში (2004–2010 წლებში).

მე-2 ცხრილში ასახულია ერთ დასაქმე-

ცხრილი 1: წარმოების მოცულობის, დასაქმებისა და შრომის მწარმოებლურობის დინამიკა საქართველოში (2004–2010 წლებში)[3]

მაჩვენებლები	წლები						
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
მშპ, (მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი)	9824	11621	13790	16994	19075	17986	20743
დასაქმება, (ათასი კაცი)	1783.3	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1
მშპ-ს გამომუშავება ერთ დასაქმებულზე (ლარი)	5457.8	6835.9	8111.8	9996.5	11921.9	9992.2	12964.4

ბულზე შრომის მწარმოებლურობის დინამიკა საქართველოს სამეწარმეო სფეროში (2006–2010 წლებში).

ცხრილი 2: ერთ დასაქმებულზე შრომის მწარმოებლურობის დინამიკა საქართველოს სამეწარმეო სფეროში (2006–2010 წლებში), ლარი[4]

მაჩვენებლები	წლები				
	2006	2007	2008	2009	2010
სულ	15011	20534	26703	29344	28398
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:					
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა -	7720	10096	17665	23352	17938
თევზჭერა, მეთევზეობა -	7233	5531	8357	14870	21044
სამთომოპოვებითი მრეწველობა -	18179	29526	61189	60301	37547
დამამუშავებელი მრეწველობა -	25633	33361	42015	47701	42565
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება -	22791	25173	32785	33461	36204
მშენებლობა -	19941	25406	32684	37648	40335
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი -	8991	14488	22494	26496	23865
სასტუმროები და რესტორნები -	11766	14794	16747	20180	20051
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა –	25234	33200	39038	40418	39234
საფინანსო საქმიანობა –	19376	-	-	-	-
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა –	9247	12104	16262	19139	21573
განათლება –	2887	3755	5637	6178	7574
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება –	3223	3921	5765	6987	8427
საქმიანობის დანარჩენი სახეები –	7342	9537	14193	16363	15873

[3] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ ლიტერატურული წყაროებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით [4, გვ. 42, 116].

[4] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ ლიტერატურული წყაროებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით [5, გვ. 126].

რეგიონების მიხედვით:					
ქ. თბილისი –	17227	24175	31697	34374	33244
აფხაზეთის არ –	-	-	-	-	-
აჭარის არ –	9663	12560	16985	19994	19598
გურია –	7410	12353	15222	20700	18954
იმერეთი –	9017	11187	13768	19426	13559
კახეთი –	9559	8756	10832	12116	12771
მცხეთა-მთიანეთი –	15314	21371	20755	28830	28346
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი –	6832	6199	7648	10799	9145
სამეგრელო-ზემო სვანეთი –	13569	16882	23601	19383	22523
სამცხე-ჯავახეთი –	15897	13597	14535	16233	18602
ქვემო ქართლი –	17382	31795	34940	36924	39331
შიდა ქართლი –	18668	21071	33172	32483	19437

მე-3 ცხრილში ასახულია ერთ დასაქმებულზე შრომის მწარმოებლურობა საქართველოს სამეწარმეო სფეროში საწარმოთა ზომის მიხედვით 2010 წელს.

ცხრილი 3: ერთ დასაქმებულზე შრომის მწარმოებლურობა საქართველოს სამეწარმეო სფეროში საწარმოთა ზომის მიხედვით 2010 წელს, ლარი[5]

მაჩვენებლები	**მთლიანად**	**მათ შორის**		
		მსხვილი	**საშუალო**	**მცირე**
სულ	28398	40193	14726	10237
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:				
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა -	17938	40890	8487	6888
თევზჭერა, მეთევზეობა -	21044	52622	28640	9213
სამთომოპოვებითი მრეწველობა -	37547	52820	22767	15221
დამამუშავებელი მრეწველობა -	42565	59216	24111	13509
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება -	36204	37889	9216	11543
მშენებლობა -	40335	59899	17065	17477
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი -	23865	38062	19089	6465
სასტუმროები და რესტორნები -	20051	37242	15695	9926
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა –	39234	44108	20791	11873
საფინანსო საქმიანობა –	-	-	-	-
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა –	21573	35319	21645	12380
განათლება –	7574	12640	5523	4083
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება –	8427	10161	6198	4347
საქმიანობის დანარჩენი სახეები –	15873	21423	8080	9941
რეგიონების მიხედვით:				
ქ. თბილისი –	33244	42116	18708	14102
აფხაზეთის არ –	-	-	-	-
აჭარის არ –	19598	29189	12818	8182

[5] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ ლიტერატურული წყაროებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით [5, გვ. 127].

მაჩვენებლები	მთლიანად	მათ შორის		
		მსხვილი	საშუალო	მცირე
სულ	28398	40193	14726	10237
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:				
სოფლის მეურნეობა, ნადირობა				
და სატყეო მეურნეობა -	17938	40890	8487	6888
თევზჭერა, მეთევზეობა -	21044	52622	28640	9213
სამთომოპოვებითი მრეწველობა -	37547	52820	22767	15221
დამამუშავებელი მრეწველობა -	42565	59216	24111	13509
ელექტროენერგიის, აირისა და				
წყლის წარმოება-განაწილება -	36204	37889	9216	11543
მშენებლობა -	40335	59899	17065	17477
ვაჭრობა; ავტომობილების,				
საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და				
პირადი მოხმარების საგნების				
რემონტი -	23865	38062	19089	6465
სასტუმროები და რესტორნები -	20051	37242	15695	9926
ტრანსპორტი და				
კავშირგაბმულობა –	39234	44108	20791	11873
საფინანსო საქმიანობა –	-	-	-	-
ოპერაციები უძრავი ქონებით,				
იჯარა და მომხმარებლისათვის	21573	35319	21645	12380
მომსახურების გაწევა –	7574	12640	5523	4083
განათლება –				
ჯანმრთელობის დაცვა და	8427	10161	6198	4347
სოციალური დახმარება –	15873	21423	8080	9941
საქმიანობის დანარჩენი სახეები –				
რეგიონების მიხედვით:				
ქ. თბილისი –	33244	42116	18708	14102
აფხაზეთის არ –	-	-	-	-
აჭარის არ –	19598	29189	12818	8182

მე-4 ცხრილში ასახულია ერთ დასაქმებულზე შრომის მწარმოებლურობა საქართველოს სამეწარმეო სფეროში საკუთრების ფორმის მიხედვით 2010 წელს.

ცხრილი 4: ერთ დასაქმებულზე შრომის მწარმოებლურობა საქართველოს სამეწარმეო სფეროში საკუთრების ფორმის მიხედვით 2010 წელს, ლარი[6]

მაჩვენებლები	მთლიანად	მათ შორის	
		სახელმწიფო	არასახელმწიფო
სულ	28398	12866	32680
ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:			
სოფლის მეურნეობა, ნადირობა			
და სატყეო მეურნეობა -	17938	13221	18416
თევზჭერა, მეთევზეობა -	21044	3454	21645
სამთომოპოვებითი მრეწველობა -	37547	47315	37096
დამამუშავებელი მრეწველობა -	42565	10945	43171
ელექტროენერგიის, აირისა და			
წყლის წარმოება-განაწილება -	36204	30128	38769
მშენებლობა -	40335	5529	40935
ვაჭრობა; ავტომობილების,			

[6] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ ლიტერატურული წყაროებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით [5, გვ. 128].

საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი -			
სასტუმროები და რესტორნები -	23865	65687	23465
ტრანსპორტი და	20051	14915	20122
კავშირგაბმულობა –	39234	18800	58650
საფინანსო საქმიანობა –	-	-	-
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის			
მომსახურების გაწევა –	21573	7282	22854
განათლება –	7574	2996	7894
ჯანმრთელობის დაცვა და			
სოციალური დახმარება –	8427	6649	12800
საქმიანობის დანარჩენი სახეები –	15873	8203	22407
რეგიონების მიხედვით:			
ქ. თბილისი –	33244	16255	37765
აფხაზეთის არ –	-	-	-
აჭარის არ –	19598	10900	21838
გურია –	18954	4489	25431
იმერეთი –	13559	7145	15870
კახეთი –	12771	6716	14793
მცხეთა-მთიანეთი –	28346	9672	34375
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო			
სვანეთი –	9145	3557	13056
სამეგრელო-ზემო სვანეთი –	22523	3455	26288
სამცხე-ჯავახეთი –			
ქვემო ქართლი –	18602	3972	24624
შიდა ქართლი –	39331	11987	44660
	19437	4074	23461

მე-5 ცხრილში ასახულია ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების დინამიკა საქართველოში 2004–2010 წლებში (მიმდინარე ფასებში).

ცხრილი 5: ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების დინამიკა საქართველოში 2004–2010 წლებში (მიმდინარე ფასებში, ათასი ლარი/წელიწადში)[7]

მაჩვენებლები	**წლები**						
	2004	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ, თევზჭერა	1.2	1.3	1.2	1.4	1.3	1.2	1.3
მრეწველობა	10.5	12.1	15.6	18.9	20.8	18.4	20.6
მშენებლობა	12.3	13.9	11.9	11.9	11.6	12.8	14.1
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	4.7	5.6	8.8	10.4	12.9	11.4	14.3
სასტუმროები და რესტორნები	11.8	16.1	15.5	16.6	21.6	16.1	16.1

[7]გაანგარიშებულია ჩვენს მიერ ლიტერატურული წყაროებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით [6, გვ. 139].

ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	13.6	15.7	16.8	20.4	20.3	17.6	21.6
საფინანსო შუამავლობა	8.3	14.2	17.4	18.6	18.0	20.6	18.5
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	7.4	9.2	14.4	14.6	26.5	16.7	26.4
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	5.3	7.4	12.7	29.8	32.3	27.5	24.6
განათლება	1.9	2.3	3.1	3.6	5.0	4.9	5.5
ჯანდაცვა	5.0	5.6	9.5	9.8	12.5	15.5	17.0
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	4.8	7.9	6.4	8.2	9.2	10.2	9.1
მომსახურების სხვა სახეები	3.7	5.6	6.2	8.3	11.2	7.6	8.7
მთლიანი დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე საბაზისო ფასებში	3.7	4.3	5.3	6.8	7.8	7.1	8.1
გადასახადები პროდუქციაზე მინუს სუბსიდიები პროდუქციაზე	0.3	0.6	0.8	1.1	1.2	1.1	1.2
მთლიანი დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე საბაზრო ფასებში	4.0	4.9	6.1	8.0	9.0	8.2	9.3

მე-6 ცხრილში ასახულია ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების დინამიკა საქართველოში 2004–2010 წლებში (მუდმივ 2003 წლის ფასებში).

ცხრილი 6: ერთ დასაქმებულზე წარმოებული მთლიანი დამატებული ღირებულების დინამიკა საქართველოში 2004-2010 წლებში (მუდმივ 2003 წლის ფასებში, ათასი ლარი/წელიწადში)[8]

მაჩვენებლები	**წლები**						
	2004	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**
სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ, თევზჭერა	1.1	1.3	1.2	1.3	1.3	1.1	1.1
მრეწველობა	10.4	11.7	15.5	18.3	18.9	17.1	17.4
მშენებლობა	11.6	12.6	11.9	11.2	10.6	11.8	13.0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	4.6	5.4	7.6	8.4	9.5	8.1	9.0
სასტუმროები და რესტორნები	11.2	14.4	16.1	17.0	21.2	17.0	16.0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	13.0	14.8	16.7	20.3	18.8	16.8	19.5
საფინანსო შუამავლობა	9.1	13.2	17.6	17.2	14.2	16.1	15.9
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	7.6	9.0	11.1	10.9	17.7	11.3	13.9
სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	3.1	3.1	3.3	4.7	4.4	4.4	4.1

[8] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [6, გვ. 140].

განათლება	1.6	1.9	2.2	2.6	3.3	3.0	3.0
ჯანდაცვა	5.2	5.3	7.2	7.1	7.9	8.7	8.4
ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასება	4.6	6.9	5.7	7.0	7.1	7.8	7.4
მომსახურების სხვა სახეები	3.6	4.8	4.7	5.6	6.4	4.6	4.4
მთლიანი დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე საბაზისო ფასებში	3.5	4.0	4.6	5.4	5.6	5.1	5.4
გადასახადები პროდუქციაზე მინუს სუბსიდიები პროდუქციაზე	0.2	0.2	0.3	0.3	0.4	0.3	0.3
მთლიანი დამატებული ღირებულება ერთ დასაქმებულზე საბაზრო ფასებში	3.7	4.2	4.8	5.7	5.9	5.5	5.7

საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ პროდუქტებისა და მომსახურების მასის, შრომის სასარგებლო ეფექტის ზრდა დროის მოცემულ მონაკვეთში შეიძლება იყოს არა მხოლოდ შრომის მწარმოებლურობის, არამედ აგრეთვე მისი ინტენსივობის ზრდის შედეგიც.

შრომის ინტენსივობა ანუ დაძაბულობა გამოისახება ადამიანური ენერგიის რაოდენობაში, რომელიც იხარჯება ერთი მომუშავის მიერ დროის ერთეულში. ეს არის ადამიანის გონებრივი და ფიზიკური ენერგიის დანახარჯები, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ინტენსივობა თავისი საფუძვლით წარმოადგენს ფიზიოლოგიურ და არა ეკონომიკურ მაჩვენებელს.

თუ შრომის მწარმოებლურობის ზრდისას მისი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე მცირდება, მაშინ შრომის ინტენსივობის ზრდის დროს ისინი რჩებიან უცვლელი. შრომის ინტენსივობის გადაჭარბებული ზრდა სამუშაო დღის გახანგრძლივების თანაბარმნიშვნელოვანია.

შესაბამისად, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ შრომის ინტენსივობის ხარისხს, ასახავს რა წარმოებაზე შრომითი ურთიერთობების მდგომარეობას, მათ სოციალურ ასპექტს, აქვს არსებითი სოციალური და ეკონომიკური შედეგები, რომლებიც თავისი გამოვლინებებით გადაჭიმულია მეურნეობრიობის მიკროდან მაკროეკონომიკურ დონემდე.

შრომის დაძაბულობის ხარისხი ყალიბდება მუშა ილეთების ტემპითა და პარალელური სამუშაო ფუნქციების რაოდენობით, მანქანების მომსახურეთა რაოდენობით და ა.შ. ის დამოკიდებულია შრომის ორგანიზაციის, ანაზღაურებისა და ნორმირების ფორმაზე და მისდამი მუშის დამოკიდებულებაზე; თავის ზემოქმედებას ახდენენ ბუნებრივბიოლოგიური ფაქტორები: კლიმატი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე ეროვნულისტორიული წინაპირობები.

შრომის ნორმალური ინტენსივობის კრიტერიუმების განსაზღვრა წარმოადგენს როგორც საზოგადოებრივი ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგანს, ამიტომ ისინი განსხვავებულია.

სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის რეალიზაციის ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებელია დავეყრდნოთ შრომის ინტენსივობის განზოგადებულ სოციალურეკონომიკურ კრიტერიუმებს.

შრომის ნორმალური ინტენსივობის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი მდგომარეობს მუშაკთა მაღალი შრომისუნარიანობის შენარჩუნებაში მთელი მათი შრომითი საქმიანობისა და სამუშაო დროის ყოველი ცალკეული პერიოდის განმავლობაში.

უკანასკნელ პერიოდში ნაკლები ყურადღება ექცევა როგორც ქვეყნის დონეზე, ისე კონკრეტული საწარმოს ეფექტიანობის საკითხებს. მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამოცანა არა თუ არ კარგავს თავის აქტუალობას, არამედ, პირიქით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენს საზოგადოებაში ეკონომიკის სტაბილიზაციისა და შემდგომი განვითარების, მატერიალური სიმდიდრისა და მომსახურების საშუალოსულადობრივი მოხმარების ზრდის ასპექტით.

მაშასადამე, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას – საზოგადოების წინაშე განახორციელოს სოციალური პოლიტიკა, უზრუნველყოს მოხმარებისა და ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი მინიმალური სტანდარტი. ეს მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნას როგორც

სოციალური სფეროს, სოციალური ურთიერთობების, ასევე საკუთრივ საქონლის (მომსახურების) წარმოების ეკონომიკური ბაზის ორგანული და ერთდროული განვითარებით.

მიზანმიმართულ ეკონომიკურ საქმიანობას საფუძვლად უდევს საქონლის წარმოების ეფექტიანობა, რომელიც, თავის მხრივ, შრომის მწარმოებლურობამდე დაიყვანება. ამიტომ **უნდა გვახსოვდეს:** სწორედ შრომის მწარმოებლურობის ზრდა ქმნის განსაზღვრული სოციალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის აუცილებელ წინაპირობებს, რომელთა განხორციელება წარმოადგენს შრომის ეფექტიანობის ამაღლების აუცილებელ ფაქტორს. ამასთან, მნიშვნელოვანია საქონლის წარმოებაზე შრომის მწარმოებლურობის ზემოქმედება განვასხვავოთ წარმოების მოცულობაზე შრომის ინტენსივობის ზემოქმედებისაგან.

<u>შრომის მწარმოებლურობა და დასაქმება</u>

სერიოზულ სოციალურ ბოროტებად ითვლება უმუშევრობა. შრომის ბაზრის თეორეტიკოსებს შორის არიან სპეციალისტები, რომლებიც სიფრთხილეს იჩენენ შრომის მწარმოებლურობის ზრდისადმი, ხედავენ რა მასში უმუშევრობის გაფართოების ერთ ერთ პოტენციურ ფაქტორს. ამასთან, პრაქტიკოსების მიერ არცთუ იშვიათად მტკიცდება, რომ სწორედ შრომის მწარმოებლურობის ამაღლება ზრდის დასაქმებას.

მაგალითად, გერმანიის ოფიციალურ წყაროებში საკითხი დგას შემდეგნაირად: "ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად რჩება უმუშევრობის შემცირება. დასაქმების ზრდის გასაღები ინვესტიციების ზრდაშია. ინვესტიციების შესაბამისი რენტაბელობის მისაღწევად გერმანია ცდილობს განამტკიცოს საბაზრო ძალები ძირითადად ინდივიდუალური მწარმოებლურობის სტიმულირებით" [7, გვ. 223, 236].

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ამოდის დებულებიდან, რომ უმუშევრობის დონე შრომის მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ტექნოლოგიური პროგრესის ბუნებრივი და გარდუვალი შედეგი არ არის [8, გვ. 275].

საინტერესოა უმუშევრობის დონეზე შრომის მწარმოებლურობის გავლენის თეორიული განხილვა.

დასკვნა დასაქმებისათვის შრომის მწარმოებლურობის ზრდის მასტიმულირებელი როლის შესახებ შესაძლებელია გაკეთდეს ოპტიმალური დაქირავების კრიტერიუმთან კავშირში. მისი გაგებისათვია აუცილებელია რიგი სპეციფიკური ცნებების გათვალისწინება.

საწარმოთა დონეზე თეორიულ ასპექტში გამოყოფენ შრომის ზღვრული მწარმოებლურობის, ანუ შრომის ზღვრული (საზღვრითი) პროდუქტის ცნებას. ***შრომის ზღვრული პროდუქტი*** არის ნამატი გამოშვებაზე, რომელიც მიღებულია შრომის დამატებითი ერთეულის გამოყენებით. აქ იგულისხმება პროდუქტის ნატურალური გამოსახულება. შრომის ზღვრული პროდუქტი ემორჩილება ე.წ. ***კლებადი უკუგების კანონს***, რომლის თანახმად, წარმოების სხვა ფაქტორების ფიქსირებული სიდიდის დროს, გამოყენებული შრომის რაოდენობის მიმდინარე ზრდას მივყავართ ჯერ შრომის ზღვრული პროდუქტის ზრდისაკენ, ხოლო შემდეგ, გამოყენებული შრომის გარკვეული მოცულობის მიღწევით, განაპირობებს შრომის ზღვრული მწარმოებლურობის დაქვეითებას. გრაფიკულად ეს წარმოდგენილია **1-ელ ნახაზზე.**



ნახაზი 1: შრომის კლებადი უკუგების კანონის მოქმედება

იგივე დებულების არსის ფულად განზომილებაში გამოხატვისათვის გამოიყენება ცნება "შრომის ზღვრული ფასეულობა (შემოსავლიანობა)". ***შრომის ზღვრული ფასეულობა (შემოსავლიანობა)*** – ეს არის ფულად ერთეულში შემოსავლის მატება შრომის დამატებითი ერთეულის გამოყენების შედეგად.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსჯელობა აბსტრაქტული დაშვებიდან გამომდინარე აიგება იმაზე, რომ მუშაკთა დაქირავება ხდება ბაზარზე ე.წ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში. ასეთ ბაზარზე შეუძლებელია რომელიმე მყიდველის ან გამყიდველის მიერ ფასის შეცვლა, მათი მრავალრიცხოვნობის გამო. მაგრამ თუ ფასი მუდმივია, მაშინ, შესაბამისად, შრომის ზღვრული ფასეულობის მოძრაობა მთლიანად ემთხვევა შრომის ზღვრული პროდუქტის მოძრაობას.

აშკარაა, რომ ყოველი დამატებითი მუშაკის მოზიდვის ეფექტი დამსაქმებლისათვის მჟღავნდება შრომის ზღვრულ ფასეულობასა და შრომის ანაზღაურების ფონდის მატებას შორის სხვაობაში.

ოპტიმალური დაქირავების კრიტერიუმი მდგომარეობს იმაში, რომ სანამ შრომის ზღვრული ფასეულობა აღემატება დამატებითი მუშაკის შრომის ანაზღაურების განაკვეთს, დამქირავებელი ზრდის გამოყენებული შრომის რაოდენობას.

მაგრამ ერთპროფილიანი მუშაკებისათვის საშუალო ხელფასის სიდიდე ასევე მუდმივი სიდიდეა, როგორც ცალკეული საწარმოსათვის, ასევე მოცემული პროფილის მუშაკთა მთელი შრომის ბაზრისათვის. ეს განპირობებულია იმით, რომ შრომის ანაზღაურება წარმოადგენს სამუშაო ძალის ფასს და სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის პირობებში ასევე არ არის დამოკიდებული ცალკეულ მეურნე სუბიექტებზე. ამრიგად, მოცემული სპეციალობის ყოველი შემდგომი მუშაკის მოზიდვა მთლიანად დამოკიდებულია მისი შრომის ზღვრულ პროდუქტზე.

იმის გასარკვევად, კლებადი უკუგების კანონის პირობებში დაიქირავებს თუ არა მეწარმე მუშაკთა უფრო მეტ რაოდენობას, თუ მათ ექნებათ უფრო მაღალი შრომის მწარმოებლურობა, შევადგინოთ ორი საილუსტრაციო სქემა. ოპტიმალური დაქირავების კრიტერიუმის გამოყენებით, შევადაროთ დაქირავების მსვლელობა ორ პირობით საწარმოში, როცა ერთერთ მათგანში შრომის მწარმოებლურობა უფრო დაბალია, ვიდრე მეორეში **(იხ. ცხრილები 7 და 8).**

ცხრილი 7: ოპტიმალური დაქირავების კრიტერიუმის მექანიზმი. – ვარიანტი I

მუშაკთა რაოდენობა	შრომის ზღვრული პროდუქტი (ნატ. ერთ.)	საქონლის ერთეულის ფასი (ლარი)	შრომის ზღვრული შემოსავლიანობა ანუ ფასეულობა (ლარი)	ხელფასი (ლარი)	მოგება მორიგ დამატებით მუშაკზე (ლარი)
1	0.6	100.0	60.0	50.0	10.0
2	0.8	100.0	80.0	50.0	30.0
3	1.0	100.0	100.0	50.0	50.0
4	1.1	100.0	100.0	50.0	60.0
5	1.0	100.0	100.0	50.0	50.0
6	0.8	100.0	80.0	50.0	30.0
7	0.6	100.0	60.0	50.0	10.0
8	0.3	100.0	30.0	50.0	-20.0

მეორე საწარმოსათვის ამოსავალი პირობები უცვლელია, მაგრამ შრომის მწარმოებლურობის დონე სამჯერ უფრო მაღალია.

ცხრილი 8: ოპტიმალური დაქირავების კრიტერიუმის მექანიზმი. – ვარიანტი II.

მუშაკთა რაოდენობა	შრომის ზღვრული პროდუქტი (ნატ. ერთ.)	საქონლის ერთეულის ფასი (ლარი)	შრომის ზღვრული შემოსავლიანობა ანუ ფასეულობა (ლარი)	ხელფასი (ლარი)	მოგება მორიგ დამატებით მუშაკზე (ლარი)
1	0.6*3=1.8	100.0	180.0	50.0	130.0
2	0.8*3=2.4	100.0	240.0	50.0	190.0
3	1.0*3=3.0	100.0	300.0	50.0	250.0
4	1.1*3=3.3	100.0	330.0	50.0	280.0
5	1.0*3=3.0	100.0	300.0	50.0	250.0
6	0.8*3=2.4	100.0	240.0	50.0	180.0
7	0.6*3=1.8	100.0	180.0	50.0	130.0
8	0.3*3=0.9	100.0	90.0	50.0	40.0
9	0.2*3=0.6	100.0	60.0	50.0	10.0
10	0.1*3=0.3	100.0	30.0	50.0	-20.0

აღნიშნულ ორ საწარმოში დაქირავების მსვლელობა შეიძლება გრაფიკულად გამოისახოს შემდეგნაირად **(იხ. ნახაზი 2).**

ნახაზი 2: მუშაკთა დაქირავების მსვლელობა შრომის სხვადასხვა მწარმოებლურობის პირობებში



რამდენადაც მაღალი მწარმოებლურობის მქონე ყოველი მუშაკის შრომის ზღვრული პროდუქტი ყოველთვის მაღალია, შრომის დაბალი მწარმოებლურობის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ამდენად, მეწარმისათვის შრომის უფრო მაღალი მწარმოებლურობის მქონე ყოველი დამატებითი მუშაკის მოზიდვის ეფექტი მაღალია, ვიდრე დაბალი მწარმოებლურობის მქონე დამატებითი მუშაკის მოზიდვისა.

მეორე საწარმოში, შრომის მაღალი მწარმოებლურობის გამო, ყოველთვის დარჩენილი იქნება შრომის ზღვრული მწარმოებლურობის შემდგომი თანმიმდევრული დაქვეითების რეზერვი, მაშინ როცა პირველ საწარმოში შრომის მწარმოებლურობის შედარებით დაბალი დონით, შრომის ზღვრული ფასეულობა უკვე უთანაბრდება ორივე საწარმოსათვის საერთო საშუალო ხელფასის დონეს. ამიტომ მეორე საწარმოში ყოველთვის უფრო მეტი მუშაკი იქნება დაქირავებული, ვიდრე პირველში.

გრაფიკი თვალნათლივ გვიჩვენებს შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელობას ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობისა და დინამიკისათვის: რაც უფრო მაღალია შრომის მწარმოებლურობის დონე (შესაბამისად, შრომის ზღვრული პროდუქტი), ის, სხვა თანაბარ პირობებში, უფრო მეტად უწყობს ხელს დასაქმების ზრდას საზოგადოებაში.

მთლიანობაში **შეიძლება დავასკვნათ:** შრომის მწარმოებლურობის ზრდა გამოდის უმუშევრობის შემცირების მძლავრ ფაქტორად და წარმოადგენს მყარი ეკონომიკური ზრდის საფუძველს.

<u>შრომის მწარმოებლურობის დინამიკის გავლენა საზოგადოების განვითარების სოციალურ და დემოგრაფიულ ტენდენციებზე</u>

ნორმალური ეკონომიკური განვითარების მოდელი გულისხმობს ადამიანთა ცხოველქმედების მატერიალური პირობების თანმიმდევრულ გაუმჯობესებას. ამიტომ ყველანაირი ეკონომიკური წყობის მთავარ კრიტერიუმს ადამიანთა ცხოვრების დონე, მისი მიმართულება და დინამიკა წარმოადგენს. ამასთან, ფუძემდებლურია სწორედ საშუალოვადიანი უარყოფითი დინამიკის მიმართულება.

უარყოფითი დინამიკა, რომელიც განპირობებული არაა გარეგანი მიზეზებით, როგორც წესი, ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს ეკონომიკური ცხოვრების შემოთავაზებული წესის, მისით მართვის მიუღებლობას და მიუთითებს არსებითი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე.

ცხოვრების დონის შეცვლის უარყოფითი მიმართულების არარსებობისას მიზანშეწონილია მოქმედი ეკონომიკური მექანიზმის მნიშვნელობით მეორე კრიტერიუმის – ცხოვრების დონის სიდიდის განხილვა. დაბოლოს, ეკონომიკური მექანიზმის შეფასების შემდგომი ნაბიჯი შეიძლება იყოს ცხოვრების დონის დადებითი დინამიკის ტემპების განხილვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ცხოვრების დონის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად გვევლინება ***რეალური შემოსავლები.***

მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილებაზე 20012011 წლების მიხედვით წარმოდგენას იძლევა **ცხრილი 9** და **ნახაზები 3, 4 და 5.**

ცხრილი 9: მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება წლების მიხედვით[9]

მაჩვენებლები	წლები										
	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები (მლნ ლარი)	263.2	309.0	308.7	325.9	353.2	387.5	426.8	544.7	575.4	649.2	711.1
საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	241.8	288.8	301.6	320.4	346.7	385.3	422.5	540.3	569.2	651.2	705.9
საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე (ლარი)	63.0	77.4	80.4	84.7	92.3	102.6	115.2	147.2	154.5	178.6	195.2

ნახაზი 3: მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება წლების მიხედვით[10]



დაქირავებული მუშაკებისათვის – ქვეყნის დასაქმებული მოსახლეობის ყველაზე მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ნაწილისათვის – რეალური შემოსავლის მთავარ ელემენტად გამოდის ***ხელფასი***. არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ საქართველოში რეალურ გამოსახულებაში ხელფასი მიმდინარე რეფორმებთან მიმართებაში აღმოჩნდა მეტად ელასტიური კატეგორია.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის დინამიკის შესახებ საქართველოში 2001–2011 წლების მიხედვით წარმოდგენას იძლევა **ცხრილი 10** და **ნახაზი 6.**

[9] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [9].

[10] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [9].

ნახაზი 4: საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე წლების მიხედვით[11]



ცხრილი 10: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქართველოში[12]

მაჩვენებლები	წლები										
	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	94.6	113.5	125.9	156.6	204.2	277.9	368.1	534.9	556.8	597.6	636.0

რეალური ხელფასის ინდექსები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საქართველოში 20072011 წლებში (პროცენტობით 2001 წელთან) ასახულია **მე-11 ცხრილში.**

ბოლო წლებში, ჩვენი ქვეყნის საოჯახო მეურნეობები მთელი თავისი შემოსავლების 4050%ს იყენებენ კვების პროდუქტების შესაძენად, მაშინ როცა, როგორც ცნობილია, ბევრ ქვეყანაში სიღარიბის კრიტერიუმად ითვლება შემოსავლების ის დონე, რომლის ერთი მესამედი მიმართულია კვებაზე. შესაბამისად, ჩვენ საქმე გვაქვს საოჯახო ბიუჯეტის შემოსავლიანობის საერთო, ტოტალურ შემცირებასთან.

შემთხვევითი არ არის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ცხოვრების დონისა და ხარისხის გაუარესებამ გამოიწვია დაავადებათა ზრდა, რაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, წარმოადგენს სიკვდილიანობის ზრდის მნიშვნელოვან მიზეზს.

მასობრივი სიღარიბე (და არა საკუთრივ შემოსავლების დიფერენციაცია) გახდა საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ერთერთი ყველაზე არსებითი უარყოფითი მახასიათებელი. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანად უნდა იქცეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ადამიანთა რიცხვის შემცირება.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების შემოსავლების დიფერენციაციის სა-

[11]გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [9].

[12] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [10].

ნახაზი 6: დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქართველოში[13]



კითხი. საგულისხმოა, რომ გასული საუკუნის 90ანი წლების უკვე შუახანებში საქართველოს ყველაზე უზრუნველყოფილ მცხოვრებთა 20% ფლობდა მთლიანი ფულადი შემოსავლის 5.7%ს, ხოლო ყველაზე მდიდარ ადამიანთა 20% ფლობდა მოსახლეობის მთლიანი ფულადი შემოსავლების 46.9%ს. დაახლოებით ასეთივე მაჩვენებლები იყო დამახასიათებელი ალჟირისათვის, კიდევ უფრო მაღალი იყო ისინი ბრაზილიისათვის, ყირგიზეთისათვის, მექსიკისა და სამხრეთ კორეისათვის. ცხადია, რომ შემოსავლების მსგავსი განაწილება ძირითადად დამახასიათებელია დაბალგანვითარებული, და ტექნოლოგიური თვალსაზრისით ჩამორჩენილი საზოგადოებებისათვის.

მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და საშუალოსულადობრივი რეალური შემოსავლების მაჩვენებელთა შემცირების ფაქტის გათვალისწინებით, **შეიძლება დავასკვნათ:** რომ მოსახლეობის ერთი ნაწილის შემოსავლების ზრდა ხდება სხვათა ხარჯზე, ანუ წინა დანაზოგის გადანაწილების და მომდევნო შემოსავლების შესაბამისი განაწილების მეშვეობით.

შემოსავლების ჩამოყალიბებული დიფერენციაციის პირობებში მოსახლეობის ღარიბ ფენებში შემოსავლების დონის ამაღლება შესაძლებელია ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში მოხმარების მთელი ფონდის გაზრდის ხარჯზე. თუმცა, დაგროვების წილი ეროვნულ შემოსავალში უკანასკნელ წლებში მცირდებოდა და მისი შემდგომი შემცირება შეიძლება დესტრუქციული აღმოჩნდეს ეკონომიკური თვალსაზრისით, ანალოგიურად დესტრუქციული იქნებოდა საამორტიზაციო დანახარჯებთან ინვესტიციების დაკავშირებული შემდგომი შემცირებაც. მაშასადამე, გაცხადებული მიზნის მისაღწევად უნდა გაიზარდოს მთლიანი შიდა პროდუქტი, პრაქტიკულად უცვლელ სტრუქტურაში.

ეკონომიკაში შრომის ანაზღაურების ამაღლების ხელშემშლელ უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის არასაკმარისი დონე. ამიტომ შრომის მწარმოებლურობის ამაღლება გვევლინება მიზანშეწონილ და საშურ საქმედ არსებული მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დემოგრაფიული ფაქტორის გავლენა, უწინარეს ყოვ-

[13] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [10].

ცხრილი 11: რეალური ხელფასის ინდექსები ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (პროცენტობით 2001 წელთან, 2001=100)[14]

მაჩვენებლები	2007	2008	2009	2010	2011
სულ	257.8	340.6	348.7	349.3	342.5
მათ შორის:					
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	369.0	543.1	471.1	464.9	602.3
თევზჭერა, მეთევზეობა	260.1	295.8	354.3	439.0	321.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	283.4	316.8	261.0	292.0	277.8
დამამუშავებელი მრეწველობა	196.2	254.6	219.7	233.7	232.9
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	166.8	209.7	214.2	214.5	210.6
მშენებლობა	224.6	246.6	254.2	254.3	257.9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	410.5	535.9	534.3	562.2	487.1
სასტუმროები და რესტორნები	315.3	401.1	431.2	416.7	348.1
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	231.2	285.1	306.2	308.6	315.5
საფინანსო საქმიანობა	156.3	188.1	181.6	164.1	164.2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	304.9	368.9	430.1	374.0	389.4
სახელმწიფო მმართველობა	366.3	494.6	497.2	508.0	480.5
განათლება	222.9	322.7	350.6	370.7	357.8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	299.9	404.0	476.4	541.8	584.1
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	229.3	327.0	323.4	337.8	346.0

ლისა, აისახება შრომითი რესურსების მდგომარეობით. ამ უკანასკნელთა ფორმირება, გამოყენება და განაწილება მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის შემდეგ პარამეტრებთან: რიცხოვნობა, შობადობისა და სიკვდილიანობის დინამიკა, ასაკობრივსქესობრივი სტრუქტურა, მიგრაცია და ა.შ.

მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ვითარდება საქონლის გასაღების ბაზარი, რასაც მივყავართ პროდუქციის ერთეულზე წარმოების დანახარჯების არსებითი შემცირებისაკენ. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ უფრო მეტად მწარმოებლური ტექნოლოგიები, ე.წ. წარმოების მასშტაბის ეკონომია და, ამგვარად, ავამაღლოთ წარმოების საერთო ეფექტიანობა.

საოჯახო მეურნეობაზე შობადობის ზრდის გავლენა მდგომარეობს იმაში, რომ მშობლებს ექმნებათ დამატებითი სტიმულები შრომისადმი. ეს ყველა შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში და ნორმალურ სოციალურეკონომიკურ გარემოებაში აფართოებს ერთობლივ საზოგადოებრივ მოთხოვნას და ანიჭებს მას დიდ და გრძელვადიან სიმტკიცეს. თუმცა, თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში ხასიათდება მოსახლეობის კვლავწარმოების შემჭიდროებული რეჟიმით. არც თუ შორეულ მომავალში, შრომის ბაზარზე შემოსვლას დაიწყებენ მცირერიცხოვანი თაობები, რომლებიც დაბადებულნი არიან შობადობის შემცირების პერიოდში. შრომითი რესურსები შეზღუდული იქნება, პირველ რიგში, ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი ასაკობრივი ჯგუფების არყოლის და, მეორე, საპენსიო ასაკის პირთა წილის ზრდის გამო.

შრომის მწარმოებლურობის სათანადო დონისა და დინამიკის შენარჩუნების აუცილებლობა განისაზღვრება ქვეყანაში ჩამოყალიბებული არასასურველი დემოგრაფიული სიტუაციით. სწორედ ამიტომაა, რომ შრომისუნარიანი ასაკის პირთა საიმიგრაციო სალდოს გაუმჯობესების მიუხედავად, ეცემა შრომისუნარიან ასაკზე ახალგაზრდა მოსახლეობის ხვედრითი წონა, ჩქარდება ერის დაბერება.

[14] გაანგარიშებულია ჩვენს მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით [11].

ყოველივე ეს დააბრკოლებს სამუშაო ძალის მოძრაობას, შრომის ბაზრის ცვალებადი პირობებისადმი მის შეგუებულობას და, შედეგად, შექმნის შრომის მწარმოებლურობის დაქვეითების წინაპირობას. ამასთან, რამდენადაც მეტი არაშრომისუნარიანი მოდის ერთ სულ შრომისუნარიანზე, მით უფრო ეფექტიანი უნდა იქნეს დასაქმებულთა შრომა – საშუალოსულადობრივი მოხმარების თუნდაც იგივე დონეზე შესანარჩუნებლად.

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების ხასიათის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს **მე-12 ცხრილის** მონაცემები.

ცხრილი 12: საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დინამიკა (%)

ასაკი	1980	1985	1990	1995	2000	2005	2010	2011	2012
შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი	24.6	23.0	24.1	24.3	22.5	21.9	21.9	20.7	19.9
შრომისუნარიანი ასაკის	59.6	60.3	58.1	56.6	57.0	57.4	57.4	58.5	59.3
შრომისუნარიან ასაკზე უფროსი	15.8	16.7	17.8	1,,9.1	20.5	20.7	20.7	20.8	20.7

მოსახლეობის სტრუქტურის ცვლილებები განსახილველი 30წლიანი პერიოდის განმავლობაში აისახა ძირითადად შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობის წილის გადიდებაში – ეს არის ქვეყნის სოციალურეკონომიკური მომავლისათვის არასასურველი და სახიფათო ფაქტორიც კი. ის აღნიშნავს, რომ იზრდება ასაკით პენსიონერთა წილი, და პენსიის გაცემის სისტემის როგორი რეფორმებიც არ უნდა განხორციელდეს, ამ უკანასკნელთა "სათანადო" დონეზე რეალური უზრუნველყოფისათვის აუცილებელია მათი შესაბამისი სასაქონლო, შრომითი უზრუნველყოფა.

გაერთიანებული ერების ხალხთმოსახლეობის ფონდის პროგნოზის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა 2050 წლისთვის 1 170 000ით შემცირდება და 3 300 000 კაცი იქნება. კავკასიაში დემოგრაფიული ბალანსი, ქართველების შემცირების გამო, მკვეთრად დაირღვა, აღნიშნული პროგნოზის გათვალისწინებით კი, 2050 წლისთვის კავკასიის დემოგრაფიული ბალანსი უფრო დაირღვევა.

თუ 1926 წლის მონაცემებით კავკასიაში ყოველი მესამე ადამიანი ქართველი იყო, ამჟამად ქართველი ყოველი მეცხრამეტეა. გაეროს მონაცემებით 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობა 1 170 ათასი კაცით შემცირდება, სომხეთის მოსახლეობა მცირედით გაიზრდება და სომხეთშიც 3 300 ათასი კაცი იცხოვრებს, ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 9 მილიონიდან 11 მილიონამდე გაიზრდება. ამრიგად, საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობის წილი სამხრეთ კავკასიის მთელ მოსახლეობაში 2050 წელს 18,718,7 პროცენტი გახდება, ხოლო აზერბაიჯანისა 62,6 პროცენტი.

გაერო მოსახლეობების პროგნოზს ყოველ ორ წელიწადში აახლებს. როგორც წესი, ყოველი განახლებული პროგნოზი ზოგჯერ მცირეოდენ, თუმცა განსხვავებას მაინც იძლევა. 2008 წლის პროგნოზით საქართველოს მოსახლეობა 1 170 000ით მცირდება, 2010 წელს განახლებული პროგნოზით ეს რიცხვი 1 166 000ია. გაერო მოსახლეობის რაოდენობის პროგნოზს ძირითადად სამ დემოგრაფიულ კატეგორიაზე დაფუძნებით აკეთებს, ესენია: შობადობა, მოკვდავობა და გარე მიგრაცია.

გაეროს მსგავსად მსგავს პროგნოზებს მსოფლიო ბანკი და ამერიკის შეერთებული შტატების აღწერის ბიუროც აკეთებს. მსოფლიო ბანკისა და გაეროს პროგნოზები 2050 წლისთვის დაახლოებით ერთი და იგივეა, შეერთებული შტატების აღწერის ბიუროს გაანგარიშებით კი 2050 წელს საქართველოში 600 000ით მეტი მოსახლეობა იცხოვრებს, ვიდრე ეს გაეროს მონაცემებითაა ნავარაუდები.

საქართველოს 2025 წლამდე დემოგრაფიული პროგნოზის **(იხ. ცხრილი 13)** მიხედვით, არსებითად გაიზრდება შრომისუნარიან ასაკზე უფროსი მოსახლეობის წილი, მაშინ როცა მოზარდების წილი თითქმის არ იცვლება, რაც ნიშნავს ქვეყნის შრომისუნარიან ასაკში მყოფ მცხოვრებთა წილის შემცირებას და გულისხმობს ეკონომიკაში დასაქმების შემცირებას.

ცხრილი 13: საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის პროგნოზი (%)

ასაკი	2015	2020	2025
შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილი	15.8	15.0	15.2
შრომისუნარიანი ასაკის პირთა ხვედრითი წილი	63.6	62.0	60.0
შრომისუნარიან ასაკზე უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წილი	20.6	22.4	24.8

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **უნდა გვახსოვდეს:** *ქვეყნის ეკონომიკაში ყოველმა დასაქმებულმა იმავე სამუშაო დროში უნდა აწარმოოს სულ უფრო მეტი და მეტი საქონელი საპენსიო გასაცემლების რეალურად დასაფარად და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, საუბარია საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის არსებითი და მუდმივი ზრდის აუცილებლობაზე.*

<u>საკონტროლო დავალებები და ამოცანები თვითშემოწმებისათვის</u>

1. გახსენით ძირითადი სოციალური გარანტიების არსი და შინაარსი საქართველოს კონსტიტუციისა და შრომის კოდექსის მიხედვით.

2. შეარჩიეთ სწორი ვარიანტი:

ა) მეურნეობრიობის თვალსაზრისით, შეიძლება თუ არა განვიხილოთ სოციალური პოლიტიკა როგორც ახლად შექმნილი შემოსავლის როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური კრიტერიუმების მიხედვით განაწილების პოლიტიკად. <u>უპასუხეთ:</u> "*კი*" ან "*არა*" ?

ბ) სწორეა, თუ არა ვამტკიცოთ, რომ ეკონომიკა – ეს არის მეცნიერება საზოგადოების მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებისათვის შეზღუდული რესურსების გამოყენების პრინციპების შესახებ.

<u>უპასუხეთ:</u> "*კი*" ან "*არა*" ?

3. განმარტეთ წარმოების ეფექტიანობის არსი და განსაზღვრეთ მისი შინაარსი.

4. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

მეურნეობრიობის თვალსაზრისით, სოციალური ..... (რა?) – ეს არის ახლად შექმნილი ..... (რის?) როგორც ..... (როგორი?), ისე არაეკონომიკური ..... (რითი?) განაწილების ..... (რა?).

5. განმარტეთ შრომის მწარმოებლურობის არსი და განსაზღვრეთ მისი შინაარსი.

6. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ძალით, ... (როგორი?) პოლიტიკის ..... (რა?) და ..... (რა?) სამომხმარებლო ..... (რის?) წარმოების ..... (როგორი?) შედეგიანობის ..... (როგორი?) ფაქტორია.

7. შეარჩიეთ ფრაზის სწორი დასასრული:

წარმოების ეფექტიანობა – ეს არის "....."

ა) წარმოების წესი, რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს უზრუნველყოფს სამომხმარებლო დოვლათის სტანდარტული ანაკრებით.

ბ) წარმოების ტექნოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს მის ფართო დივერსიფიკაციას.

გ) წარმოების პროცესის სასარგებლო შედეგებისა და ფაქტორთა დანახარჯების თანაფარდობა.

დ) მეურნეობის გაძღოლის მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მიზანია საბაზრო ურთიერთობების გაფართოება.

8. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი განსაზღვრება:

შრომის მწარმოებლურობა – ეს არის ..... (რისი?) სასარგებლო ..... (რისა?) და ..... (რის?) მისაღწევად ..... (როგორი?) შრომის დანახარჯების ..... (რა?).

9. დაასახელეთ და დაახასიათეთ მაკროეკონომიკურ დონეზე შრომის მწარმოებლურობის შეფასებისა და ანალიზისათვის გამოყენებული მეთოდები.

10. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

შრომის მწარმოებლურობის ..... (რა?)

ასახავს …….. (ვისი?) ეკონომიკურ, …… (როგორ?), სოციალურ და …… (როგორ?) განვითარებას, განაპირობებს მის …….. (რას?) პერსპექტივაში.

11. განსაზღვრეთ შრომის მწარმოებლურობის როლი სახელმწიფოს ძირითადი სოციალური გარანტიების რეალიზაციაში.

12. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

სწორედ შრომის მწარმოებლურობის ზრდა ქმნის …….. (როგორი?) სოციალური …… (რის?) რეალიზაციისათვის …… (როგორ?) წინაპირობებს, რომელთა …… (რა?) წარმოადგენს …… (რის?) ეფექტიანობის …… (რის?) აუცილებელ …… (რას?).

13. განმარტეთ შრომის ინტენსივობის არსი განსაზღვრეთ მისი შინაარსი.

14. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ამოდის ……. (საიდან?), რომ …… (რის?) დონე შრომის …… (რისა?) და …… (როგორი?) ზრდის …… (როგორი?) ტექნოლოგიური …… (რის?) ბუნებრივი და გარდუვალი …….. (რა?) არ არის.

15. განმარტეთ შრომის ზღვრული პროდუქტი, შრომის ზღვრული ფასეულობა და ახსენით, რაში მდგომარეობს ოპტიმალური დაქირავების კრიტერიუმის არსი.

16. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

შრომის მწარმოებლურობის …… (რა?) გამოდის …… (რის?) შემცირების …… (როგორ?) ფაქტორად და წარმოადგენს …… (როგორი?) ეკონომიკური ზრდის …… (რას?).

17. განსაზღვრეთ შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელობა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დასაქმების მდგომარეობისა და დინამიკისათვის.

18. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

ოპტიმალური დაქირავების კრიტერიუმი მდგომარეობს …….. (რაში?), რომ სანამ …… (რის?) ზღვრული …… (რა?) აღემატება …….. (როგორი?) მუშაკის …… (რის?) ანაზღაურების …… (რას?), დამქირავებელი ზრდის გამოყენებული …… (რის?) რაოდენობას.

19. ახსენით, შრომის მწარმოებლურობის დინამიკის გავლენა საზოგადოების განვითარების სოციალურ და დემოგრაფიულ ტენდენციებზე.

20. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები და დაასრულეთ შემდეგი წინადადება:

ამასთან, რამდენადაც მეტი არაშრომისუნარიანი მოდის …… (რამდენ?) სულ …… (ვისზე?), მით უფრო …… (როგორი?) უნდა იქნეს ……(ვისი?) შრომა – საშუალოსულადობრივი …… (რის?) თუნდაც …… (რომელ?) დონეზე შესანარჩუნებლად.

<u>რეკომენდებული ლიტერატურა</u>

1. საქართველოს კონსტიტუცია. – თბილისი, 1995 წლის 24 აგვისტო// http://codex.ge/1055.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. – თბილისი, 1997 წლის 26 ივნისი. N786 – IIá // http://codex.ge/2790.
3. საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს შრომის კოდექსი". – თბილისი, 2010 წლის 17 დეკემბერი. ¹4113რს // http://codex.ge/152.
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2011 //საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2012.
5. მეწარმეობა საქართველოში 2010. სტატისტიკური პუბლიკაცია //საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2010.
6. საქართველოს ეროვნული ანგარიშები 2010. სტატისტიკური კრებული //საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. – თბილისი, 2012.
7. Германия: Факты. Франкфурт – на – Майне, 1995. С. 223, 236.
8. Волгин Н.А. Социальная политика. Учебник. Под общ. ред. Н.А. Волгина. М.: Издательство «Экзамен», 2003, с. 837.
9. http://www.geostat.ge/?action=page&p_id=181&lang=geo.
10. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=148&lang=geo.
11. http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_Georgia_2012.pdf].